№ 75 12 აპრილი, ოთხშაბათი 1866—1878 12 აპრილი, ოთხშაბათი № 75

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲘ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлоговъ სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлоговъ სახლში, № 8.

ᲬᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозбъ".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 აპრილს. Დიდი მზადებაა იმისთვის, რომ Ინგლისის ჯარები Ინდოეთიდამ მალტის კუნძულზე გამოგზავნონ. პირველ ბრიგადას ხმელეთზე გამოსასვლელ ჯარისას 17 (29) აპრილს ჩასმენ ხომალდებში და გამოისტუმრებენ.

Ბერმანიის წინადადების თაობაზედ, რომ Ინგლისმა გაიყვანოს თავის ფლოტი მარმარილოს ზღვიდამ და მაშინ რუსებიც წაიყვანენ ჯარებს სტამბოლის არე-მარედამო, ამ წინადადებაზედ ინგლისური გაზეთები ამბობენ, რომ ეს რუსეთისათვის უფრო სასარგებლო იქნებაო, ვინემ Ինგლისისთვისაო. რუსეთსა და Ինგლისს შუა ამ ჟამად გაცხარებული მოლაპარაკებაა; ეს ორი სახელმწიფო თან-და-თან თავსდებიან ერთმანეთში. Ავსტრიას არა ჰსურს, რომ ახალი მიწები შეიძინოს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 აპრილს. სტამბოლიდამ მოვიდა აქ ტელეგრამმა, რომ Ինგლისის ელჩს ლეიარდს მოუვიდა ამბავი, რომ შესაძლებელია საქმე მშვიდობიანად გათავდეს; Ինგლისის ფლოტი ბიზიყის ნავსადგურში წავა და რუსების ჯარები კი Ადრიანოპოლში დაიწყვენ. საზოგადო ჰაზრია, რომ Ოსმალეთის ახალი სამინისტრო Ինგლისის გავლენას არ დაემორჩილებაო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 11 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ—	$23\frac{3}{4}$	„ „
Ամსტერდამი—	120	„ „
ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ—	202—	„ „
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ—	248—50	„ „

Შინაგანი სესხის ბილეთები 5%:

პირველი სესხის — —	29	—50
მეორე სესხის — — —	226	— „

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის —	96	—75
მეორესი — — — —	95	— „
მესამესი — — — —	95	—40
მეოთხესი — — — —	95	—15
Ოქმოსაელეთის — —	93	—50
Ოქრო, ½ იმპერიალი—	8	—39

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ შეეტყვეთ, რომ Ბ—ის ქალი, რომელზედაც ამას წინათ, ბევრს იწერებოდნენ ჩვენებურ გაზეთებში, ამ ჟამად სრულიად განთავისუფლებულა ავათმყოფობისაგან და ექიმს Ძ—ცს (სომეხს) აუყვანია და თავის ხარჯით ზრდისო.

*** ჩვენ ჩაგვივარდა ხელში 1809 წელს პეტერბურღში დაბეჭდილი და გამოცემული ქართული გრამმატიკა, რომლის Ავტორის სახელი წიგნზე არ აწერია, აწერია მხოლოთ სამი ასო Ა. ნ. და Ბ. Თავის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ მეშინიან ქართული ენა არ დაილუპოსო და ამიტომ შევადგინე ეს გრამმატიკაო."

*** Ამბობენ, რომ ჰავლაბრის პირველ-დაწყებით ნიკოლაევის სასწავლებელში ქართველ ყმაწვილებს საძმობლო ენას არ ასწავლიანო...

*** „Მშაკში" იწერებიან Ალექსანდრაპოლიდამ, რომ იქ გახსნილა რეალური სასწავლებელი და ამ ჯეროობით სწავლის საქმე კარგათ მიდისო.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ Ბურჯაანის მასწავლებელს უფ. Ქარბელოვს უთარგმნია ქართულად რუსის მწერლის Ფროლოვის კომედია „Подруга жизни."

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ გაზეთში შემდეგი ანგარიში იმ ქართული წარმოდგენისა, რომელიც ამ 3 აპრილს იყო Თფილისში:

„Ვენეციელი ბაჭრის" წარმოდგენიდგან ქართული სცენის მოყვარულთაგან სულ შემოვიდა 629 მან. 10 კაპ. Ამათ რიცხვში სხვა-და-სხვა პირებისაგან ბილეთებისათვის მიღებულია მეტი 21 მან. და 50 კაპ., მაგალითად ერთმა პირმა შვიდ მანეთიან ლოჟაში 25 მ. მისცა.

ᲮᲐᲠᲯᲘ

Თეატრის ქირა უ. პალმს—200 მან. Ფორტოპიანის დამკვრელს წარმოდგენისათვის და უმთავრესი რეპეტიციისათვის 10 მანეთი; აფიშების დაბეჭდა და ქაღალდი 6 მანეთი; ასოების ამწყობებს მუქთი ბილეთი გალერეიაში 2 მ. და 10 კაპ. აფიშებისათვის დიდი ასოების ამომჭრელს 2 მანეთი; თეატრის ტანისამოსის ყურის მგდებელს—5 მან. მკერვალ ქალს 5 მანეთი; სამს პარიკმახერს 5 მან; თეატრის კასსრს 5 მან; უმთავრესი რეპეტიციისათვის მსახურების ქირა, რადგან კვირა იყო, 3 მანეთი; მთვარისებრივი განათება და ნივთების შემნახველს 3 მანეთი 60 კაპ. სამი კოლოფის გაკეთება 2 მან. 25 კაპ.; წარმოდგენის დროს მსახურება 4 მან. 60 კაპ.

სულ მთელი ხარჯი 253 მან. და 55 კ.

სულ დარჩა 675 მან. და 55 კ.

ხოვლის სასწავლებლის გამგებელს 100 მან. გადაეცა. Დანარჩენი 275 მან. და 55 კაპეიკი შეტანილია დროებით ბანკში, მანამ Ძვიშხეთის სასწავლებლის საჭიროება მოითხოვდეს.

*** ჩვენ მივიღეთ Ძუთაისიდამ შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„Ძუთაისის ქართული სცენის მოყვარე პირთა წარმოადგენეს უფ. Ალანიოვის ზალაში ორი პიესა, ერთი კომედია „Ოლ-ქმარ შუა ომი," მოლიერიდგან ნათარგმნი, და ძეორე ვოდევილი „Ოლი თუ გინდათ, ეს არის!" ოდევილი ვ. Აბაშიძისა.

„Აჰ წარმოდგენით საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა; ყველა აკტორები მეცადინეობდნენ რიგიანათ თავ-თავის როლი წარმოედგინათ.

„Კმაყოფილნი დარჩნენ აგრეთვე მოყვარენი, რადგან საზოგადოებამ ყურადღებით მოისმინა მათი თამაში და გარდა ხარჯისა დარჩა წმინდა შემოსავალი თითხმეტი თუმანი. Ეა ფული უფ. ალექსი ბიჭინაძეს ჩაბარდა, რომ მან ბანკში შეიტანოს; თეატრის მოყვარეთ აქვსთ მიზნათ, წარმოდგინებაების საშუალებით შეკრიბონ ფული ქართულის სცენის დასადგენათ Ძუთაისში, თეატრის ზალის ასაშენებლათ.

„Გარდა ამ ფულისა თეატრის მოყვარეთ აქვსთ კიდევ რამოდენიმე ასი მანეთი, რომელიც სხვა და სხვა პირების ხელში არის დღეს გაბნეული; დღეს ამ ფულებს ერთად უპირებენ შეკრებას.

„Იმედია, ის პირები, ვისაც ეს უწინდელი ფული აბარიათ, მოიქცევიან რიგიანათ, წარმოადგენენ ფულს და არ შეიქნებიან მიზეზი ამისთანა სასარგებლო საქმის დარღვევისა."

N

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ, 1 აპრილს (Დასასრული) ჩვენსაკენ უეზდში სოფელს Საყარაულოში, თ. Ბ. ჯ—ძის ადგილში ჰქონდა

გალეხული სამიკიტნო დუქანი ორს თელაველს მ. და ი. ო—შვილებსა და თავისის ცბიერობით მრავალ ხალხს ატყუებდენ.

ამ სამის თვის წინათ ერწოს ხევსურების მამასახლისს ბ. ა—ბულს შეაგულეს ერთი ცხენი, და ეს ი. ო—შვილი, მუდამ არაყს ასმევდა, რადგან იცოდა აქ ბ—ას ანბავი გადაკვრა, უყვარს. ბოლოს რომ დაინახა, ამ მამასახლისმა, აღარა-და-აღარ ეშვება, უთხრა:

— ძაცო, რას ჩამომეკიდე, წელს ჩვენში საქონლის ჭირი იდგა, რაც საქონელი მყვანდა, ჭირმა დამიღუპა; ერთი ეს ცხენიღა მყავს, კალოც ამითი უნდა ვლეწო, ჩვენში უწყლო ალაგი არი, წისქვილები შორათა გვაქვს, საფქვავიც ამის ზურგით უნდა ვზიდო. შენ რომ მოგყიდო, მე რაღა მეშველება?!

ამ სოჭეხს ეს სიტყვები გულში ლახვარივით ეძგერა; დაღონდა, შემდეგ დაფიქრდა და თავისი ეშმაკური ფიქრი წარმოიდგინა: იმ ბ—ძიას მამასახლისს იმათ დუქნიდამ სამი მანათი წვრილათ დანახარჯი მართებიყო; ამ ი. ო—შვილს გაუკეთებია თავის დავთარში ნამართებობის ექვსის თუმნის ბარათი, თითქო ბ. ა—ბულას ესესხნოს. როდესაც ეს ბ. იმ დუქანში მოვა, გამოიღებს იმ დაწერილს ბარათს და ეტყვის: აი შენ რომ სამი მანეთი გმართებს, იმის ბარათი არისო, ეხლანდელი კანონები ამბობსო, ვინც დუქნისას დაიმართებსო, ნისიაზედ ამღებმა ხელი უნდა მოაწეროსო. ამ საცოდავმა ბ—მ ცოტა ჩხაპვა იცის, თავის სახელსა და გვარს ცოდო-ჭირით გამოასახელებს. წაკითხვით ეს ბარათი არ წაუკითხია, იმტენიც არ იცის, თორემ, რომ შეეტყო ამ ბარათში ექვსი თუმანი სწერიაო, რას ხელს მოაწერდა!... თან კიდევ ის სოჭეხი ეუბნება, ხელი კი მოაწერეო და ეს სამი მანეთი როცა გინდა მაშინ მომეციო.

შემდეგ ეს ხელმოწერილი ბარათი წარადგინა თიანეთის სუდში; თავის დროზედ დაიბარეს ეს ა—ბული სუდში; უთხრეს: ეს ექვსი თუმანი რომ გმართებია, რატომ არ აძლეო? ბ—ას ელდა ეცა—რის ექვსი თუმანიო, სამი მანეთიო მმართებსო, ისიც პირობა მაქვს, უნდა დამაცალონო, უშოვნი და მივცემო! გამოუცხადეს, აი შენი ხელი აწერია, უნდა მისცეო. ბ—ია ეხვეწება სუდიას და იმის მოენეს, ნუ დამღუპავთ, ეგ ხელიც მოტყუებით მომაწერინაო, შევცდიო, კაპიო მიბოძეთ და ოკრუღის სუდში გადავალო. მაშინ მეენე გამოუცხადებს, სუდია ასე ბძანებსო, ეხლავე ხელი მოაწეროსო, თორემ ექვს თუმანს ოც-და-სამ თუმნათ გაუხდიო. საწყალმა შაშინებულმა და მტირალმა მოაწერა ხელი გადაწყვეტილობაზედ... ვადა აქვს მომავალს მარიანობის თვეში, უნდა ჩააბაროს ი. ო—შვილს ექვსი თუმანი ფული... ეხლა საცოდავი ეს ბ. ა—ბული დადის სასოწარკვეთილებით და ყოველს კაცს შესტირის: დავღუპე ჩემი თავიო და ჩემი წვრილი ცოლ-შვილი?..

ჩვენს უეზდში მცხოვრებნი ხალხნი მრავალნი არიან უწიგნო და გაუკვებელნი; ზოგი ერთი შორებულს მთის ხალხსა ანუ ახლოვე როცა, უწყება სუდიდგან მოუვათ სასტიკათ, ერთი დღე ანუ ორიღა ექნებათ მისვლამდე, ანუ იქნება წამკითხველიც ვერ იშოვნონ, რომ შეიტყონ დაბარების დრო, ანუ კაცი ურმითა სახელმწიფო ხარჯისათვის მოსატანათ იყოს წასული და ამ მიზეზების გამო უწყების დაბარებაზედ სუდში თავის დროზედ ვერ გამოცხადდა; მაშინ დააწერენ შტრაფს სამ მანეთს, ზოგ ხუთს მანეთს, თუმანს. ღმერთმა ნუ თქოს საწყალს ღარიბს ხალხსა ორჯელ და სამჯერ ეს შტრაფების გადახდა მიერგოს, თორემ ხომ უნდა ვალი აიღოს და იმითი მოიშოროს ეს შტრაფები, ახლა სახელმწიფო საკომლო ხარჯიც ზედ მივა და გლეხი-კაცი ამით გასაწყლდება...

ამისთანა ჩვენი თემების შეწუხება და გარემოება „ივერიასაც“ მივართვით და იმ დალოცვილმა არ გამოსცა, არ ვიცით რის მიზეზით... ეხლა გთხოვთ, უფალო რედაქტორო, მიიღოთ შრომა და გამოსცეთ ეს ჩვენი შაწუხებაები და იქნება წამალი რამე დაგვედოს...

თუშ-ფშავ-ხევსური.

ვლადიკავკაზი, 2 აპრილს. პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ აქაური პოლიცია ყურადღებას არას აქცევს, რომ ქალაქი და ქუჩები გააწმენდინონ; ნამეტურათ იარმუკაში, ლაფის გამოთ ცხენიან კაც ძლივს შეუძლიან გაიროს თუ შიგ არ დაეფლოს. ამას წინათ თითომე ვნახე, ერთი შეშის ურემი ლაფში დაიფლო, ება ულელი ხარი, ველარ გაათრიეს; წავიდა საწყალი ამ ურმის პატრონი ოსი, როგორც იყო იშოვა ყევარი ხარი, მიაბა ამ ულელს და სამ ულელმა ძლივ-ძლივს გაიტანეს... რამდენს კალოშები რჩება ამ ლაფში, ვინ მოსთვლის. ამ იარმუკიდან იმოდონა შემოსავალი აქვს ქალაქა, რომ რკინა დააგონ, მითაც ეყოფა; მაგრამ აქ ქვის დაგებაც არ ეღირსა.

ამბობენ, ვითომც მაისში აპირობენო რკინის გზის დაწყობასაო. ვინ ამბობს, ძავკავიდამ უნდა დაიწყოსო, ვინ ამბობს ელხოტიდგანაო ალაგირზე უნდა გაიდესო პირ-და-პირ ბორშიო. თუ ეს მართალია და ელხოტიდგან დაიწყეს, თაცათ ჩვენი ძავკავის საქმე და ვაჭრობა იბოსებ უკან და უკან მიდის, მაშინ ძულ უკან წავა; აქ გარეშე მოვაჭრე არც ერთი აღარ დადგება.

ჯერ ნამდვილათ არ იციან—თუ საიდგან დაიწყობა გზის კეთება; ეხლავ მესმის რამდენიმე პირისგან, რომ აქ აღარ გვედგომებაო, უნდა წავიდეთ .საითმეო. ზოგი ამბობს მე ძალაქისკენ წავალო, ზოგი ამბობს მე ელხოტში დავიწყობ ვაჭრობასაო. თუ მართლა გავიდნენ ეს გარეშე მოვაჭრები, თქვენი მტერი დაიცალოს, როგორც ეს ძავკავი დაიცლება, აქ ორი წილი მეტი სულ გარეშე მოვაჭრეები სომხები არიან, ვაჭრობაც ხომ ღმერთის სულ სომხებისთვის დაულოცნია და კალათაც ამათზედ დაუბღერტია.

ერთი საცოდაობა მოხდა მარტის 11-ს ღამეს: ჩამოვარდა ტყიდგან ერთი ცოფიანი მგელი, მივარდა საბერნის ყაზარმაში თერგის პირზედა, იქ დაგლიჯა ერთი სალდათი, იქიდან საათის 12-ს შამოვარდა ქალაქში, ექვსი სალდათი აქ დაკბინა; დილით გათენებისას მივარდა კიდევ იქ, საცა ეს ექვსი სალდათი დაკბინა, იქ მდგარა ყარაულად ერთი სალდათი; მიმავალი მგელი რა დაუნახავს შეშინებია, დაუყვირია, ამ ყვირილზე ეს მგელი სცემია სალდათს; მაგრამ გულზედ შტიკი დაუბჯენია და მოუკლამს. ამბობენ, რომ ამ შვიდი კაცის გარდა, ბევრი ზიანი მისცა ამ მგელმა აქაურ ოთხფეხიან პირუტყვებსაო.

ამ საგანზე ყურადღება უნდა მიაქციონ, თორემ დღეის შემდეგ უფრო გამხირდება ამისთანა შემთხვევები, რადგანც ტყე ახლოს გვაქვს...

თერგელი.

ომის ამბები

ომისთვის მზადება

ლონდონის გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 3 აპრილს პეტერბურღიდამ მიღებული:

„ინგლისმა და რუსეთმა დღეს თითქო უფრო მშვიდობიანად დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება. ინგლისის მმართებლობამ აცნობა რუსეთს, რომ იმას სრულიად არა ჰსურს, რომ ეს განხეთქილება იმათ შორის მაინცა-და-მაინც ომით გათავდეს; ინგლისი მომხრეა მშვიდობიანობისა; ის თხოულობს მხოლოთ, რომ ევროპის სახელმწიფოებისაგან შედგენილ კონგრესს უფლება მიეცეს, რომ გადახედოს და, თუ საჭირო იქნება, შეასწოროს რუსეთისაგან ოსმალეთთან შეკრული სან-სტეფანოს მორიგების პირობა. რუსეთი თავის მხრით თ. გორჩაკოვის ჰაზრზედა დგას, ის თანახმაა ხსენებული პირობის ყველა მუხლებზე მოილაპარაკოს კონგრესმა.“

—

სტამბოლიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ იქაურ ავსტრიის ელჩს—ზიჩის უთხოვნია ოსმალეთისათვისა, ავსტრიას ნება მიეცესო, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა დაიჭიროს თავის ჯარებითაო.

—

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 3-ს აპრილს ვენიდამ მისული:

„ამ ჟამად რუსეთს მხოლოთ გერმანიის იმედი აქვს, რომელიც ერთის მხრით ინგლისთან და მეორეს მხრით ავსტრიასთან ცდილობს საქმის გარიგებას.

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ინგლისს გადაწყვეტილი აქვს ომის დაწყებაო და არასგზით არ დაიხევს უკან, თუ რუსეთი არ დათანხმდა ყველა იმ მოთხოვნილობაზე, რომელიც ინგლისმა წარუდგინა იმასაო.“

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„ოსმალეთსა და ინგლისს შუა ფორმალური პირობა არის შეკრული იმის თაობაზედ, რომ, თუ ბრძოლა ატყდა, ოსმალეთი თავის ჯარებითა და ფლოტით ინგლისს დაეხმარებაო. ამბობენ, რომ აქაურ (სტამბოლელი) ინგლისის ელჩმა ლეიარდმა გადაიბირა თავისკენ ოსმან-ფაშა და რეუფ-ფაშა, რომელთაც ამ ჟამად დიდი გავლენა აქვთ ოსმალეთის პოლიტიკურ საქმეებზე და რომელთაც დღემდინ რუსეთის მხარი ეჭირათ.“

—

ამავე გაზეთის მეორე კორრესპონდენტი იწერება სტამბოლიდამ:

„მარმარილოს ზღვაში გაჩერებულის ინგლისის ფლოტის ვიცე-ადმირალი გორნბი ხშირად ათვალიერებს გალიპოლის სიმაგრეებს და აქვე ამზადებს ინგლისის ჯარისათვის სურსათსა და სამხედრო მასალების შესანახავ მაღაზიებსა. რამდენსამე ალაგას აქ, ზღვის ნაპირებზე ახალი ციხეები აა'შენა ინგლისის ხარჯით.

„ოსმალეთის მმართებლობამ ბოსფორში გაჩერებული თავის სამხედრო ხომალდები ინგლისის ფლოტს მიუახლოვა. სტამბოლიდამ ოსმალებმა ჯარები გაიყვანეს. ამბობენ, ამ ორი გარემოების მიზეზი ის არისო, რომ, თუ ვინიცობაა ომი ატყდა და ინგლისმა ხმელეთზე გამოიყვანა ჯარები, ოსმალეთს მაშინ უფრო ადვილად შეეძლოს თავის ჯარების იმათთან შეერთებაო.“

—

ოსმალეთი აგროვებს აზიაში კიდევ 80,000 ახალ ჯარს. ამას წინათ იმან გამოაცხადა, რომ დაითხოვს იმ 40,000 მუსტეგაფიზის ჯარს (მილიციას), რომელმაც გასულ ომში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დღემდინ ეს ჯარი კიდევ არ დაუთხოვნიათ და ახლაც მზათ არიან საომრად გამოსასვლელად.

საზოგადოთ ოსმალეთში ისეთი აჩქარებული მზადებაა თურმე, რომ კაცი იფიქრებს, რამდენიმე კვირის განმავალობაში ოსმალეთი ხელ-ახლად ომის დაწყებას აპირებსო.

—

ფრანცუზული გაზეთის „Le Temps“-ის სიტყვით ერთს ნაწილს ბოლგარიის მცხოვრებლებს ისეთ ნაირადვე უნდა რუსეთს დაუმორჩილონ თავის ქვეყანა, როგორც ფინლანდია ემორჩილება იმას ამ ჟამადო.

რუსეთი

ზასულიჩის ქალის საქმეზედ

რუსულ გაზეთს „ბირჟის უწყებებში“ არის დაბეჭდილი შემდეგი წერილი იმ შემთხვევაზე, რომელიც მოხდა 31 მარტს ვერა ზასულიჩის განთავისუფლების შემდეგ. ეს წერილი დაწერილია იმ პირისაგან, რომელსაც თავისი თვალით უნახავს ყველაფერი:

„როდესაც გამოვედი სასამართლოდამ, ვნახე უანგარიშო ხალხი, რომელიც მოგროვილიყო გამართლებულის ზასულიჩის ქალის შესაგებებლათ. ეს ხალხი წავიდა ლიტეინის პროსპექტისკენ; აქ გამოჩნდნენ რამდენიმე ქვევითა ჟანდარმები, დაერივნენ ხალხს და ისე მოქმედებდნენ რომ ეტყობოდა უნდოდათ წაერთმიათ ზასულიჩის ქალი.

„ბევრნი ყვიროდნენ, რომ თავი დავანებოთ პოლიციას და მშვიდობიანათ გამოვკითხოთ—თუ რა უნდა და რისთვის მოსულა. მართლაც რამდენიმე პატივსაცემმა პირმა დაიწყო მოლაპარაკება. ჩემ გვერდით იდგა ერთი პოლიციის აფიცერი, რომელსაც უთხარი, რომ „ხალხი აღელვებული იყო სასამართლოში და ამ საქმეს დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზდა ყმაწვილებზე, რომელნიც იცდიდნენ კარებთან და მოელოდნენ თუ რა ამბავს გამოიტანს სასამართლოში მყოფი საზოგადოება. ეხლა სწორეთ დიდი შეცდომა იქნება-მეთქი, თუ პოლიცია გაერია, ამას ცუდი ბოლო ექნება.“ ვსთხოვე, რომ მოეყვანათ მეორე კარეტა, ჩაესვათ შიგ ზასულიჩის ქალი და მიყრუებულ ქუჩებით მიეყვანათ სახლში.

„ამ აფიცერმა დამიჯერა და გამოუცხადა ჩემი რჩევა, ხალხი დათანხმდა ამაზე. ამ დროს გამოჩნდა მეორე კარეტაც. ზასულიჩის ქალი ჩასვეს შიგ, ხალხმა დაუყვირა ჩქარა წადი სახლშიო. ახლოს მდგომ პირებმა მისცეს ფული იზვოსჩიკს და სთხოვეს, რაც შეიძლება მალე წასულიყო სახლში. ამ დროს მე ვიდექი კარეტასთან ახლოს; რამდენიმე პირმა მკრეს ხელი და შემაგდეს კარეტაში.

„ხალხმა სიტყვა მისცა აფიცერს, რომ ამ ქუჩის კუთხემდინ გააცილებენ კარეტას და მერე გაიფანტებიან.

„შემდეგ შემოხტა კუჩერთან ერთი ყმაწვილი კაცი საწყლათ ჩაცმული. კარეტა ჯერ ნელა მიდიოდა და მერმე აუჩქარა. ხალხი უკან ჩამორჩა. კარეტასთან მოჩანდნენ სხვა-და სხვა გვარი ხალხი და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მშვიდობიანათ გათავდება საქმე.

„როცა მივედით ქუჩის ბოლოს და გვინდოდა შებრუნება მეორე ქუჩაში, მოისმა ყვირილი, რომ პოლიციას უნდა კიდევ დაიჭიროს ზასულიჩის ქალი და ჩასვას ციხეშიო. ერთ წუთში ჩვენი კარეტა შეაყენეს, გარ შემოერტყა ქვევითი ჟანდარმები, ზოგი მივარდნენ იმ ყმაწვილ კაცს, რომელიც კუჩერთან იჯდა და ჩამოაგდეს იქიდან, მეორეები სცდილობდნენ გაეღოთ კარეტის კარები; მაგრამ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ყვიროდა, რომ იმისი ნათესავი ვარო და არ გაგიშვებთო, ნება არ მისცა გაეღოთ კარები. შემდეგ დავინახე მეორე კარეტა. რაც მოხდა ამ კარეტის უკან არ მინახავს, გაშიშვლებული ხმლების წკრიალი იყო.

„ამ შემთხვევიდან სჩანდა, რომ ჟანდარმებს უნდოდათ ზასულიჩის ქალი გადაესვათ მეორე კარეტაში და სადღაც წაეყვანათ. მაგრამ ხალხი ახლოს უშვერდა და ამის გამოისათ მოხდა შარში შეტაკება. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა რევოლვერის ხმა. ერთი - ერთმანეთზე - სამიჯერ სროლა. ეს სწორეთ მაშინ მოხდა, როცა ჩვენი კარეტა გაჩქარებით წავიდა; როცა ცოტა გავსცილდით, გამოვიხედე კარეტიდამ, იმის ახლო ალაგან იდგა, ხოლოთ ცოტა მოშორებით მოჩანდა ხალხი. ერთმა კაცმა რაღაცა ასწია და რადგან მე ცოტა თვალით მაკლია, ამის გამოისათ ჯერ მეგონა, რომ შინელი იყო და მერე ვიფიქრე, რომ უთუოთ ვინმე დაჭრესო. ზასულიჩის ქალი დიდად სწუხდა, რომ ის იყო მიზეზი ამ აღელვებისა და უბედურებისა; ბოლოს აღმოჩნდა, რომ ის ახალგაზდა კაცი, რომელიც კარეტის კოზლაზე იდგა, იყო სტუდენტი, სიდორაცკი—ზასულიჩის ნათესავი..“

—

მოსკოვის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი ის არეულება, რომელიც 3 აპრილს მოხდა მოსკოვის ქუჩებში და რომელზედაც გუშინდელს ჩვენს გაზეთში ტელეგრამმა იყო დაბეჭდილი. აი საქმე რასში ყოფილა:

გასულს მარტში ვიღაცას განეზრახა კიევის; პროკურორის კატლიარევსკის მოკვლა ამ საქმის თაობაზე, სხვათა შორის გამომძიებელს დაეტუსაღებინა ერთი სტუდენტი; ამხანაგებს მოუნდომებიათ ამ სტუდენტის დახსნა, 142 კაცი შეყრილიყვნენ, მისულიყვნენ უნივერსიტეტის რექტორთან და ეთხოვნათ, რომ ის ყმაწვილი კარგი ყოფა-ქცევის სტუდენტია, კაცის მოკვლას ის თავის დღეში არ განიზრახავდაო და ამას გამო გთხოვთ იშუამდგომლოთ, რომ გაათავისუფლონო.

რექტორს ამ თხოვნის დაკმაყოფილების მაგიერ, შეეკრიბა უნივერსიტეტის რჩევა, რომელსაც გადაეწყვიტა, რომ ყველა ეს სტუდენტები, რომელთაც ითხოვეს დატუსაღებულის განთავისუფლება, გამორიცხულ იქმნენ კიევის უნივერსიტეტიდამ და არც ერთს სხვა უნივერსიტეტში ისინი აღარ იქმნებიან მიღებულიო....

თხუთმეტი სტუდენტი ამათგანი ჟანდარმებით მოიყვანეს მოსკოვში. მოსკოვის სტუდენტებს შეუტყვიათ ეს გარემოება, ორას კაცამდინ დახვდნენ რკინის გზის სტანციაზე და ქუდ-მოხდილი (პატივისცემის ნიშნათ) გამოჰყვნენ ქუჩებში იმ კარეტებს, რომელშიაც ის კიევის სტუდენტები მოჰყავდათ. გზაზე ხალხი თან-და-თან მატულობდა, ასე რომ უნივერსიტეტთან რომ მისულან, 5,000 მეტი ხალხი, თუ ახალგაზდობა, თუ გლეხები, თუ ვაჭრები და სხვა მისდევდნენ თურმე კარეტებს.

აქ ერთს სტუდენტსა და რუსის მუჟიკს შუა რაღაც კინკლაობა მომხდარა სულ უბრალო გარემოებაზე. მუჟიკს სხვა მუჟიკები დახმარებიან, სტუდენტებს სტუდენტები და შექნილა გაცხარებული მუშტის-კრივი და ცემა-ტყეპა; რამდონიმე საათის განმავალობაში გა-

როშემო ქუჩები ბრძოლის ველად გადაქცეულან; დაუზოგველად სცემდნენ თურმე ერთმანეთს. ბევრს წვრილ ვაჭარსა და სტუდენტს ცხვირ-პირი დაუმტვრიეს. როცა მეყასბეები ჩაერიენ ამ ჩხუბში, მაშინ კი იფრინეს წინ სტუდენტებიო...

ბოლოს პოლიცია ჩაერია. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორიც მოვიდა და როგორც იყო გააშველეს თურმე მებრძოლნი.

ამ საქმის თაობაზე ათი სტუდენტია დატუსაღებული; სხვა კიდევ არავინ. „მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, ამბობენო, ვითომც პოლიცია აქეზებდა ხალხსაო, სცემეთ სტუდენტებსაო...

ნარევი

ერთს ფრანცუზულს გაზეთში სწერია, რომ გამოჩენილი მწერალის ვიქტორ ჰუგოს წიგნი „ე რ თ ი დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ი ს ა მ ბ ა ვ ი“ გაიყიდა 165,000 ეგზემპლიარიო. ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ვიქტორ ჰიუგო ახალ წიგნს ამზადებს გამოსაცემელად, რომელსაც ერქმევა „პაპი.“

*
* *

ერთს გარუსებულ ნემეცს უფ. ეტბერგს გამოუგონია ისეთი მაშინა, რომ ამ მაშინით კაცი რომ შევიდეს ცეცხლში, შეუძლიან იმაში დარჩეს ნახევარი საათი და იმას ცეცხლი ვერას ავნებსო.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ, იმის თანადასწრებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოთ ერთხელ ვაჭრობა ქალაქის 1300 ფანრის ნავთით განათებისა იჯარით მიცემაზედ.

მსურველს შეუძლია პირადათ განაცხადოს ქალაქის გამგეობაში თავის პირობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეიძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანვერტით წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძლიან ნახოს უპრავაში მუდამ დღეს უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

(3—1)

თფილისის ქალაქის საავათმყოფო ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს თავის შვილებს ყვავილი აცრას, შეუძლიან მიმართოს საავათმყოფოში ორშაბათობითა და პარასკეობით, დილის ათი საათიდამ შუადღემდინ. აქ უცრიან ყვავილს ექიმის ხელმძღვანელობით.

ღარიბებს მუქთად აუცრიან ყვავილს და ვისაც შეუძლიან, ექვსი შაური უნდა შეიტანონ.

(5—2)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

თამარ-დედოფალი

ოთხ-მოქმედებიანი ტრაგედია

გადაკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან—„თამარ საქართველოს ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან

(5—4)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

ბატონიშვილი

ი რ ა კ ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ რ ო

ანუ თავდადება ქართველთა

გამოცემული ზაქარია—ჭიჭინაძისაგან.

ფასი ექვსი შაური

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

ისყიდება: ქ ა ლ ა ქ შ ი—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქ ა რ ე ლ ს—დავით ქეროჩაშვილთან, ხ ა შ უ რ ი ს ა და ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს უჩქეტში, ს უ რ ა მ ს—ზაქარია არუწოვთან, ქ უ თ ა ი ს ს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერცვაძესთან ფ ო თ შ ი—ელისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს—თ. ივ. თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გ ო რ შ ი—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ისყიდება

უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ეშმაკის ხარო

მდაბიური ამბავი

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი.	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა თფილისი, 8 აპრილს	მან	კაპ
ფქვ. თ თ. ბანჯისა, ფთ.	1	70
ფქვილი წითელი . .	1	60
ქერი ფუთი . . .	1	80
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	8	20
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: მინკევიჩი—ხირურგი, ლისიცევი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგ. ავათმყოფობის, თამამშევი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიულის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგ. ავათმყოფ. და მინკევიჩი—ხირურგ.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარქაროვი—შინაგანი ავათმყოფობის., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფ. და თამამშევი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Апрѣля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.